ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №39

15.03.2019 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

12:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, თარაშ შურღაია.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უჯმაჯურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **ბექა დავითულიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **თინათინ ნიბლოშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **ირაკლი ზარქუა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **ალექსანდრე ხუჯაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. **ლევან დარახველიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. **შალვა ოგბაიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. **გიორგი ჩაკვეტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. **ავთანდილ ცინცაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
14. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
15. **ოთარ გრიგოლია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
16. **რამინა ბერიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
17. **ფრიდონ ინჯია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
18. **ნინო ლაცაბიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
19. **ჯაბა ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
20. **ანა ლაშხი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
21. **ლევან არველაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
22. **ილია ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
23. **მიხეილ ამაშუკელი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
24. **გიორგი ახვლედიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

25. ქეთევან მამულაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
26. ავთანდილ ცინცაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
27. ქეთევან ჯოხაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. მაია ბითაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
2. ალექსანდრე ტოგონიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. მამუკა სალუქვაძე - ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" დირექტორი;
4. მერაბ ბოლქვაძე - ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს" ხელმძღვანელი;
5. თემო კალანდაძე - იურისტი, არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი ქალაქის" წარმომადგენელი;
6. ზურაბ ბაქრაძე - არქიტექტორი, ურბანისტი;
7. ანა გაბრიაძე - ა(ა)იპ „უსაფრთხო სივრცის" თავმჯდომარე;
8. სხვა დაინტერესებული პირები;
9. მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა რევაზ სოხაძემ დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30), საკრებულოს შვიდი კომისიის (ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის, ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, გარემოს დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა, სატრანსპორტო საკითხთა, სარეკრეაციო და ასევე, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიების) ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი რევაზ სოხაძის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 6 მარტის №12-031906554-03 წერილი) - ოქმს თან ერთვის.

/მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის
მოადგილე მაია ბითაძე/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2019 წლის 6 მარტის №12-031906554-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა მაია ბითაძემ.

მომხსენებელმა (მ. ბითაძე) ისაუბრა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ პროექტსა და მისი დანართების მნიშვნელობაზე, მიზნებსა და ამოცანებზე.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქალაქის თანაბარი განვითარებისთვის განისაზღვრა თბილისის სხვადასხვა უბანში პოლიცენტრული არეალები. ამასთან განხორციელდება სარეკონსტრუქციო არეალების განახლება და ყოფილი სამრეწველო-კომერციული ტერიტორიების („ბრაუნფილდები“) კონვერსია. შეზღუდვების საშუალებით უზრუნველყოფილია ბუნებრივ და ტექნოგენურ ზემოქმედებას დაქვემდებარებული ტერიტორიების დაცვა, ეკოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური უსაფრთხოება. ხელი შეეწყობა ახალი მწვანე არეალების შექმნას, რითაც არსებულ მონაცემებთან შედარებით გასამაგდება გამწვანების წილი ერთ სულ მოსახლეზე. ახალი მწვანე არეალების შექმნისა და გამწვანების წილის ზრდის მიზანია, თითოეულ მოქალაქეს ჰქონდეს გამწვანებულ არეალებთან წვდომა მთელი ქალაქის მასშტაბით.

ქალბატონმა მ. ბითაძემ ყურადღება გაამახვილა მწვანე სარეკრეაციო არეალების საკითხზე და აღნიშნა, რომ სამშენებლო სივრციდან არასამშენებლო სივრცეში, ექვს მილიონ კვ.მ.-ზე მეტი, ხოლო სარეკრეაციო ზონებში, ჯამში ოთხ მილიონამდე კვ.მ. ტერიტორია იქნა გადატანილი.

მომხსენებლის განმარტებით, ფაქტობრივად გამქრალი კულტურული ლანდშაფტის ზონა კვლავ აისახა როგორც წარმოდგენილ დოკუმენტში, ასევე თანდართულ თემატურ რუკებზე. ასევე, ახალ თემატურ რუკაზე დატანილი იქნა ყველა საქალაქო მნიშვნელობის პარკი, სარეკრეაციო ზონები თუ შიდასაუბნო და საზოგადოებრივი მნიშვნელეობის გამწვანებული არეალები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქ-ნმა მ. ბითაძემ ისაუბრა „მწვანე ქალაქის“, კომპაქტურობისა და კარგად შეკავშირებულობის კონცეპტუალური მიმართულებით რეალიზების საკითხზეც, რომლის ფარგლებშიც იქმნება თბილისის განვითარების მკაფიო სტრატეგია და მისი შესრულებით შესაძლებელი გახდება ქალაქის წინაშე არსებული ურბანული პრობლემების ეტაპობრივი აღმოფხვრა.

თბილისის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის კონცეფციით განსაზღვრული კომპაქტურობის იდეა, ტერიტორიის ეკონომიკურად გამოყენებასთან ერთად, გულისხმობს ბუნებრივი რესურსებისა და სარეკრეაციო არეალების შენარჩუნებას, საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების გაუმჯობესებას და სხვა სიკეთეებს, რაც საჯარო ინტერესის კონტექსტში უზრუნველყოფს როგორც ამ დროისთვის არსებული მოსახლეობის, ისე მომავალი თაობების უფლებას უკეთეს გარემოზე. თუმცა, აქაც შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებისას აუცილებელია საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსება. საჯარო ინტერესის გამოკვეთილი უპირატესობა არ გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

მომხსენებელმა (მ. ბითაძემ) ისაუბრა დადგენილების პროექტის დანართი №2-ის (დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილი) თაობაზე და აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მიერ შემუშავებულმა ექვსტომიანმა დოკუმენტმა სამართლებრივი ასახვა პოვა წარმოდგენილ დოკუმენტში.

ქალბატონმა მ. ბითაძემ ასევე ისაუბრა, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ (№14-39 დადგენილება 24.05.2016წ.) შესატანი ცვლილებისა და თბილისის განახლებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის სამართლებრივი ურთიერთკავშირის შესახებ. მაგალითად, იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, როგორც ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად ექვემდებარება სრულ რევიზიას 5 და 10 წლიან ნიშნულებზე, განაშენიანების რეგულირების გეგმების და გეგმარებითი დავალებების, (რომლებიც უვადოდ გაიცემოდა), მოქმედების ვადა განისაზღვრება 3 და 5 წლით „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ (№14-39 დადგენილება 24.05.2016წ.) ცვლილების შეტანის შემდეგ.

იმის გათვალისწინებით, რომ დედაქალაქის ტერიტორიაზე შეთანხმებული იყო განაშენიანების რეგულირების გეგმები, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმაში აისახა 700-მდე განაშენიანების რეგულირების გეგმა, თუმცა, მათ შორის მოხვდა რამდენიმე ისეთი გრგ, რომელიც დარჩა კონტურის მიღმა, მცირედი შესწორებების შეტანის ვალდებულებით.

დაბოლოს, ქალბატონმა მაია ბითაძემ აღნიშნა, თემატურ რუკებზე დატანილ მონაცემებთან მიმართებაში დაშვებულია მცირედი ტექნიკური ხასიათის უზუსტობები,

რომლის ნაწილიც ამ ეტაპისთვის გასწორებულია, თუმცა სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, მომავალშიც გასწორდება გამოვლენილი ხარვეზები.

მომხსენებლის (მ. ბითაძე) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ **აზრი გამოთქვეს:**

ბ-ნმა ირ. ზარქუამ, რომელმაც აღნიშნა, რომ სარეკრეაციო სივრცის ოთხი მილიონი კვ.მ. ფართობით გაზრდა მნიშვნელოვანი და მისასალმებელი ფაქტია დედაქალაქისთვის.

ბ-ნმა ზ. ბაქრაძემ - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის" დოკუმენტის საბოლოო (დაზუსტებული) ვერსიის თაობაზე.

ქ-ნმა ა. გაბრიაძემ - დიღმის-ტყე პარკის საკითხთან დაკავშირებით ითხოვა ადგილზე ვითარების შესწავლა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან ბ-ნ კ. კალაძესთან შეხვედრა.

ბ-ნმა ფ. ინჯიამ ისაუბრა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილით" (დანართი №2) გათვალისწინებულ საინჟინრო ინფრასტრუქტურის საკითხთან დაკავშირებით.

ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა სხდომაზე წარმოადგინა შემდეგი შენიშვნები და წინადადებები:

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის" (დანართი №2):

- **მუხლი 2. (გეგმარებითი პრინციპები და საფუძვლები)** სასურველია, **მე-2 მუხლის მე-3 პუნქტში** „მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის" ნაცვლად, მიეთითოს - **„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა";**
- ამავე მუხლის მე-11 პუნქტში მოხსენიებულია **„დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების ძირითადი დებულებები."** სასურველია, სრულყოფილად იქნას მითითებული „ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებები."
- **21-ე პუნქტში, „...შემდეგი ქალაქგეგმარებითი..." ნაცვლად, უნდა მიეთითოს: <u>„თანმდევი ქალაქგეგმარებითი";</u>**
- **პროექტის მე-14, მე-15, მე-16, მე-18, მე-19 და 21-ე მუხლებიდან** ამოღებულ **უნდა** იქნას სიტყვა - **„კერძო";**
- **25-ე მუხლის მე-7 პუნქტის** ფორმულირება შეუსაბამოა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონთან, შესაბამისად, **მიზანშეწონილია ამოღებულ იქნას;**
- ასევე, სასურველია **26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" „გ" და „ე"** ქვეპუნქტების ფორმულირებები შეიცვალოს და **ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილება“;

„გ) გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №297/ნ **ბრძანებით დამტკიცებული** „წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარიული დაცვის ზონები“ (დანართი 5)“;

„ე) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-103 დადგენილება.“

- აგრეთვე, პროექტის **32-ე მუხლის მე-2 პუნქტში** მოხსენიებულია „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის **21-ე მუხლი.** აღსანიშნავია, რომ **ხსენებულ კანონში 21-ე მუხლი არ არსებობს, სავარაუდოდ წარმოდგენილ ვერსიაში იგულისხმება მე-2 პრიმა მუხლი;**
- მე-4 თავში, **33-ე მუხლის მე-4 პუნქტში,** სასურველია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესები სრულყოფილად იქნას მითითებული, აღნიშნული დადგენილების ნომრის, მიღების თარიღისა და შესაბამისი სათაურის დამატებით;
- პროექტის **74-ე მუხლთან** დაკავშირებით:
  - **პირველი პუნქტი,** რომელიც განსაზღვრავს მხოლოდ **2018 წლის 1 იანვრიდან მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ძალაში შესვლამდე,** ობიექტებისთვის ნებართვის (მშენებლობის ნებართვა/წერილობითი დასტური) გაცემის დროს მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული რეგულირების გავრცელების შესაძლებლობას, 74-ე მუხლიდან **ამოღებულ უნდა იქნას.**
  - ასევე, **74-ე მუხლის მე-3 პუნქტში ტექნიკური ხარვეზია** დაშვებული, კერძოდ, 72-ე მუხლის ნაცვლად, უნდა მიეთითოს: **73-ე მუხლი.**

კენჭისყრაზე დაისვა შემდეგი წინადადება:

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2019 წლის 6 მარტის **№12-031906554-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტისა და მისი დანართების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2019 წლის 6 მარტის **№12-031906554-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტისა და მისი დანართების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე